

სამკურნალო საშუალების სამედიცინო გამოყენების ინსტრუქცია

აპილაკი გრინდექსი 10 მგ საწუწნი ტაბლეტები

საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება
არ არსებობს.

სამკურნალო ფორმა და შემადგენლობა:

10 მგ საწუწნი ტაბლეტები.

ერთი ტაბლეტი შეიცავს:

აქტიური ნივთიერება: აპილაკი ლიოფილიზებული 10 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: ლაქტოზის მონოჰიდრატი, კარტოვილის სახამებელი, ტალკი, კალციუმის სტეარატი.

აღწერილობა

ზედაპირზე და განატეხზე თეთრი ფერის ან თეთრი მოყვითალო ელფერის ბრტყელცილინდრიანი ტაბლეტები ნაზოლით. შესაძლებელია მცირე ყვითელი წინწკლები.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი

ზოგადმატონიზირებელი საშუალებები.

ათქ კოდი: A13A

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ფარმაკოდინამიკა:

აპილაკი, ანუ ე.წ. ფუტკრის რძის დედო წარმოადგენს ახალგაზრდა მუშა ფუტკრების ალოტროფიული ჯირკვლების სეკრეტს. გააჩნია ზოგადი მატონიზირებელი და ანტისპაზმური მოქმედება, ზრდის ორგანიზმის გამძლეობას და მდგრადობას სტრესის მიმართ და აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას.

აპილაკი წარმოადგენს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომბინაციას, რომლის შემადგენლობაში შედის:

- მნიშვნელოვანი ვიტამინები (C, B₁, B₂, B₅, B₆, B₈, B₁₂, H, ფოლის მჟავა, ინოზიტოლი);
- მინერალური ელემენტები (K, Na, Ca, Mg, Fe, P) და მიკროელემენტები (Zn, Mn, Cu, Co, S, Si, Ni, Cr, As, Bi);
- 23 სხვადასხვა ამინომჟავა, მათ შორის შეუცვლელი (ჰისტიდინი, ვალინი, მეთიონინი, ტრიფტოფანი);
- სხვა, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები (მაგალითად- ფერმენტი ქოლინესთერაზა, მედიატორი აცეტილქოლინი და სხვა).

ფარმაკოკინეტიკა:

პრეპარატის მოქმედება წარმოადგენს მასში შემავალი კომპონენტების მოქმედების კომპლექსურ შედეგს, შესაბამისად, კინეტიკური დაკვირვებების ჩატარება შეუძლებელია.

გამოყენების ჩვენებები:

- ტრადიციულად გამოიყენება კვების დარღვევებისას, გამოჯანმრთელების პერიოდში და მშობიარობის შემდგომ პერიოდში რძის გამოყოფის დარღვევისას;
- ბავშვებში გამოიყენება არასაკმარისი კვების და უმადობის დროს;
- გამოიყენება დამხმარე საშუალების სახით ნერვული დარღვევების და დაბალი არტერიული წნევის დროს.

მიღების წესი და დოზირება

ყოველთვის გამოიყენეთ პრეპარატი ექიმის დანიშნულების მიხედვით. გაუგებრობის შემთხვევაში მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

ტაბლეტი უნდა მოთავსდეს ენის ქვეშ მის სრულ გაწოვამდე, ვინაიდან შიგნით მიღებისას და კუჭში მოხვედრისას კუჭის წვენის ზემოქმედებით ფუტკრის რძის დედო იშლება.

მოზრდილებში და მოზარდებში: 1 ტაბლეტი 3 ჯერ დღეში (მოზრდილების მეთვალყურეობით).

ბავშვებში 3 წლიდან: 1 ტაბლეტი 2 ჯერ დღეში.

მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 10-15 დღეს.

უკუჩვენებები:

- პრეპარატის კომპონენტების და მეფუტკრეობის პროდუქტების მიმართ მომატებული მგრძნობელობა.
- ადისონის დაავადება (თირკმელზედა ჯირკლის უკმარისობა, რომელსაც ახასიათებს კანის პიგმენტაცია).
- გალაქტოზას თანდაყოლილი აუტანლობა, *Lapp* ლაქტაზის დეფიციტი, გლუკოზა-გალაქტოზის მალაბსორბციის სინდრომი.

თუ თქვენ გაქვთ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი დაავადება ან მდგომარეობა, აცნობეთ ექიმს პრეპარატის გამოყენების წინ.

გვერდითი მოვლენები:

შესაძლებელია ალერგიული რეაქციების განვითარება, რომლის გამოვლენის შემთხვევაში პრეპარატის მიღება უნდა შეწყდეს. პრეპარატის მიმართ მომატებული მგრძნობელობის არსებობისას შესაძლებელია განვითარდეს: პირის სიმშრალე, ტაქიკარდია და ძილის დარღვევები, რომლებიც დოზის შემცირების ან პრეპარატის მოხსნის შემდეგ ქრება.

გვერდითი მოვლენების გაჩენის შემთხვევაში გაიარეთ კონსულტაცია ექიმთან.

განსაკუთრებული მითითებანი

აპილაკი გრინდექსის ტაბლეტებს შეუძლია ალერგიული რეაქციების გამოწვევა. აპილაკი გრინდექსის ტაბლეტები შეიცავენ ლაქტოზას. გალაქტოზის თანდაყოლილი აუტანლობის, *Lapp* ლაქტაზის დეფიციტის, გლუკოზა-გალაქტოზის მალაბსორბციის სინდრომის მქონე პაციენტებში პრეპარატი არ გამოიყენება.

ძილის დარღვევებისას რეკომენდებულია დოზის შემცირება ან პრეპარატის მიღების შეწყვეტა.

ბავშვები

3 წლამდე ასაკის ბავშვებში საწუწნი ტაბლეტები არ გამოიყენება.

ორსულობა და ლაქტაცია

პრეპარატის გამოყენება შესაძლებელია ექიმთან კონსულტაციის შემდეგ.

სატრანსპორტო საშუალებების მართვასა და მოძრავ მექანიზმებთან მუშაობის უნარზე ზემოქმედება

არ მოქმედებს.

სხვა სამკურნალო პრეპარატებთან ურთიერთქმედება

არ არის დადგენილი.

ჭარბი დოზირება:

სიმპტომები: ჭარბი დოზირებისას აღინიშნება ნივთიერებათა ცვლის პროცესების შენელება. მაგალითად, დღეში 2,5 გ მიღება იწვევს მოთენთილობას.

მკურნალობა: სპეციფიური ანტიდოტი არ არსებობს. ჭარბი დოზირებისას აპილაკით მკურნალობა უნდა შეწყდეს. მკურნალობა სიმპტომურია.

შენახვის პირობები

ინახება მშრალ და სინათლისაგან დაცულ ადგილას არა უმეტეს 25°C ტემპერატურის პირობებში.

შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

აფთიაქიდან გაცემის პირობები

ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III (გაიცემა რეცეპტის გარეშე).

ვარგისიანობის ვადა

2 წელი

არ გამოიყენოთ შეფუთვაზე მითითებული ვადის გასვლის შემდეგ.

შეფუთვა

25 ტაბლეტი ბლისტერში.

1 ან 2 ბლისტერი მუყაოს კოლოფში.

სარეგისტრაციო მოწმობის მფლობელი და მწარმოებელი

სს „გრინდექსი“, კრუსტპილსის ქ. 53, რიგა, LV-1057, ლატვია.

ტელ: +371 67083205

ფაქსი: +371 67083505

ელ. ფოსტა: grindeks@grindeks.lv

ტექსტის ბოლო გადახედვის თარიღი: 2017 წლის ივნისი.